წელიწადი I-ლი    სამშაბათი 25 იანვარი    ფასი 30 მან.

# ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 800 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 50 მან.
4 „ „ „ . . . [illegible]
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ-შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 17    ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო    № 17

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროძალ-სხირტლაძის

პარასკევიდან 21 იანვრიდან ამერიკული კინო-რომანი
მორის ლებლანისა
## წითელი ბეჭედი.
11 ეპიზოდათ 22 ნაწილათ.
მთავარ როლს შეასრულებს კაროლი ეკრანის რუფ როლანი.

ანონსი: სამშაბათიდან 25 იანვრიდან ახალი პროგრამა წითელი ბეჭედი 4 და 5 ეპიზოდი.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“
თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

პარასკევიდან 21 იანვრიდან ახალი სენსაციური გამოცვლა სურათებისა
## ბეჭედი სირცხვილისა
დრამა 4 ნაწილათ პროლოგით
დასასრულ ინგლისური სიმაგრე

ანონსი: მზადდება დასადგმელათ 25 იანვრიდან ქალი გამოცანა

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები მიხეილ ოქროპირის-ძე და ოლღა ივანეს ასული, ძმა მიხეილ, მამიდა ელიტი ბიძები გალაქტიონი და პახუმი ოქროპირის-ძენი ბიცოლა ედესია დავითის ასული ქვემოკლიძენი აუწყებენ ნათესავთ დაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი სტუდენტი
### აფრასიონ ექვთიმე მიხეილის-ძე
## ქვემოკლიძე
დასაფლავება მოხდება 26 ამ თვეს სოუქსუს სასაფლაოზე.
მისამართი კამაროვის ქუჩა № 9.
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

შმაევსკის თეატრი.
ქართველ სტუდენტთა
## ტრადიციული დღე.
ოთხშაბათი, 26 იანვარი
## გრანდიოზული
## ||| საღამო. |||
სიტყვა ქართულათ კ. ქავთარაძე
სიტყვა რუსულათ გრ. აიოლო
1
## ქალის ძალა
მხიარული ვოდ. 1 მოქ. ბოლქვაძისა
2
## ტირილი გალ. ტაბიძისა
ინსცენიროვკა.
3
ცეკვა, სიმღერა, მუსიკა, იუმორი.
სახ. თეატ. ე. ვრონსკი, ნ. აიოლო, ს. ბარტენიევი, ცნობილი მოცეკვავენი მიშა და ფლერი, ტ. ვოლსკაია და მთელი დასი.
რეჟისორი ს. ბარველი.    გრ. სლუჩაინი.
დღესასწაულის მომწყობი კომისია.

ბათომის ფრონტის
## დამხმარე მთავარი კომიტეტი
აცხადებს, რომ ყოველ გვარი ფულების თუ ნივთების შეკრება ფრონტის სასარგებლოდ ამიერიდან სწყდება.
კომიტეტი სთხოვს ყველა იმ პირთ, რომლებსაც ხელთ აქვთ სიები თუ წიგნაკები უკანვე დაუბრუნოს ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს, დაწვრილებითი ანგარიშების გამოსაქვეყნებლად. 31 3—3

ელინთა პოლიტიკური კლუბი
== გ დ ა ვ ი დ ა ==
ახალ ბინაზე, სობორის ქუჩა № 2, პირველი სართული (ინგლისელთა ყოფილი სასამართლო)
3—1    კლუბის თავმჯდომარე ქ. პოპონდოპულო.

მე-4 ქვეითა ათასეული ნიშნავს 26 იანვარს 1921 წ. დღის 12 საათ.
## საჯარო ვაჭრობას
ათასეულისათვის ხორცისა და სხვა სანოვაგის მოსაწოდებლათ
საჯარო ვაჭრობა მოხდება ათასეულის შენობაში; ცნობების მიღება შეიძლება ათასეულის საბინაო ნაწილში, არტაანის ყაზარმებში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე.
ვაჭრობა მოხდება დახურულ ბარათებით. საჭიროა ერთი მილიონი საწინდარი.
35 3—3

## ბათომი, 25 იანვარი.

ქართველი ხალხი სდუმდა, მაგრამ ის ტკივილის გრძნობას განიცდიდა და გაკვირვებით შეჰყურებდა იმ ნოტებს, რომლითაც ჩვენი მთავრობა მიმართავდა გაწითლებულ აზერბეიჯანის მთავრობას ჩვენი ორთქმავალების მითვისების გამო. ჩვენ ეს ნოტები ისე გვესმოდა, რომ მთავრობას ვერ გამოუნახავს სხვა გზა და არც შეძლება აქვს საქართველოს შელახულ უფლების აღსადგენათ და ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცავათ. მშვიდობიანი კილოთი დაწერილი ნოტები გვესმოდა, როგორც ჩვენი მთავრობის სისუსტის მაჩვენებელი და ჩვენ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა.

დღეს სურათი შეიცვალა და ქართველი ხალხი სრული კმაყოფილებით შეხვდა იმ ზომას, რომელიც ჩვენმა მთავრობამ გაკადნიერებულ საბჭოთა აზერბეიჯანის წინააღმდეგ მიიღო. დღეს ჩვენთვის ნათელი გახდა ის ფრთხილი ნაბიჯები, რომლებიც გადადგმული იყო ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელთა მიერ.

ჩვენი მთავრობა მშვიდობიან ზომათა საშვალებით ფიქრობდა აზერბეიჯანის გონზე მოყვანას; მაგრამ, როდესაც გამოირკვა, რომ აზერბეიჯანის ხელმძღვანელებზე მშვიდობიანი რწმუნება ნაკლებ მოქმედებს და ეს რომ ნაკლებ სჭრის, მაშინ მთავრობამ მიმართა უკანასკნელ რეპრესიულ ზომას და „რესპუბლიკის საარსებო ინტერესების დასაცავათ და ურთიერთ მოზღვის პრინციპის“ მიხედვით საბჭოთა რუსეთის და აზერბეიჯანის მთელი ქონება, რომელიც კი მოიპოვება საქართველოს ტერიტორიაზე, დაკავებული იქნება, მანამდის, სანამ საბჭოთა ქვეყნები გონს არ მოვლენ, მტაცებლურ ხელობას არ შეიკრიან და საქართველოს კუთვნილ ქონებას საჩქაროთ არ დააბრუნებენ. ეს ზომა სამართლიანი მიზღვაა და გონივრული ნაბიჯი ჩვენი სამშობლოს ინტერესების და ჩვენი ხალხის თავმოყვარეობის დასაცავათ.

გამოირკვა, რომ სხვა ენით საბჭოთა მესვეურებთან ლაპარაკი ძნელი საქმეა, ისინი არავითარ იურიდიულ, საერთაშორისო განწყობილებაში მიღებულ ნორმებს არ ემორჩილებიან, ზნეობრივ შეხედულებებს პატივს არ სცემენ; მოქმედებენ და იქცევიან ისე, როგორც ეს მათი პირადი შეხედულებით და ანგარიშებით იჭრება. გამოირკვა კიდევ მეტი, ქვეყანას ჩაუდგომია სათავეში ყაჩაღები, რომელთანაც რაიმე დამოკიდებულების დაჭერა ყოვლათ შეუძლებელია, რადგან მათი მოპყრობა, დამოკიდებულება და სიტყვა ყაჩაღურია.

საბჭოთა აზერბეიჯანის მესვეურებს დასჭირდათ ორთქმავლები, ვაგონები, აგერ საქართველოს ორთქმავლები. რა არის მერე რომ ის ქართველი ხალხის საკუთრებაა, ქართველ ხალხს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ესაჭიროება, უამისოთ ქართველი ხალხის მეურნეობის განვითარება ძალზე შეფერხდება სასურსათო კრიზისი გაიზრდება, ჯარს, მუშას სანოვაგის მიწოდება დაუგვიანდება — ყველა ამას ანგარიშს არ უწევენ და ჩვენი ქონებას ითვისებენ. ეს არის ჩვეულებრივი მოქალაქის ენაზე მტაცებლობა და მტაცებლებთან არ შეიძლება მშვიდობიანი და მეზობლური ენით ლაპარაკი.

## მოკლე შენიშვნები.

საქართველო და აჭარა.

ეს არის ჩვენი „მტკივანი“ საკითხი, რომლის სასურველათ გადაწყვეტაზე ფიქრობს თითეული ქართველი.

სათუთის გრძნობით შევეხოთ ამ „მტკივან საკითხს“ და ვეცადოთ ჩვენი ხმაც შევუერთოთ იმათ ვინც ცდილობს ნათესაური კავშირი აღადგინოს მოძმეთა შორის.

უგულო ხელით გათიშულ მოძმეთა შორის!

აჭარა ლომხიბლავია..,

„აჭარელი ბავშვიკით სუფთა არის თავისი გრძნობებით, ხასიათით და ბუნებით“..

„აჭარა ხელუხლებელი განძია ქართველი ერის წარსულის, მისი ძლიერების“..

ამ აღტაცებული სიტყვებით ახასიათებს ერთ თავის სიტყვაში აჭარას ჩვენი მხცოვანი ის რამიშვილი, რომელმაც შემოიარა ის არა ერთხელ, გაეცნო მის მდგომარეობას, მისწვდა აჭარელის გულის ცემას,..

ძვირფასმა მოხუცმა დაასრულა სიტყვა გულწრფელი მოწოდებით.

— „ვეპატრონოთ, მივხედოთ აჭარას“..

და მართლაც, ჩვენი დამოკიდებულება აჭარასთან დიდ ისტორიულ მწუხარებით გადაქცეულა.

რაში გამოიხატება ეს მწუხარება?!

რა უდევს მას სარჩულად და რამ გამოიწვია ის?

„ბედო მუხთალო“!..

ძმური სიტყვა და მშობლიური ალერსი ხშირად ვერ იწვევს გამოძახილს,..

კაცობრიობის განვითარების ისტორია მწუხარების და უსამართლობის ისტორიაც არის.

ტანჯვა წამების გოლგოთაა!

ადამიანის ციმციმეული ღიმილი მწუხარებით იცვლება, აღტაცება გულ გატეხილობით, ბედნიერება უბედურობით!.

ეს შეუბრალებელი სინამდვილე იმეორებს ერის ცხოვრება განვითარებასაც.

ძველი საქართველო ძლიერი და მარავანდედით მოსილი...

საქვეყნოთ ხახელ განთქმული, აღმოსავლეთის კულტურის ნაზიარები, მხნე, მამაცი, მადლიერი და ბედნიერი!..

მაგრამ კაცობრიობის ტანჯვის ღმერთს მსხვერპლი დასჭირდა...

მან „ღიმილი მწუხარებათ შესცვალა,“..

და სატანამ წადილი აღასრულა!

ბედმა საშინელი განსაცდელი არგუნა საქართველოს.

ბარბაროსულმა ოსმალოთმა აჭარა საქართველოს მოსწყვიტა და დროთა ბრუნვის სათამაშოთ გახადა

მტარვალმა შვილი დედისა ან გათიშა და დასტკბა მათი მარტოობის ტანჯვით.

გაბოროტებული მხეცისათვის ეს არ დარჩა საკმარისი, ის მოითხოვდა ახალ მსხვერპლს

დედის ძუძუდან შვილის მოგლეჯამ ვერ ამოაწურვია მას მხეცური სიამოვნების მთელი ფიალა.

მან მოისურვა ახალი საშინელება!

დესპოტმა მიზნათ დაისახა დედაშვილობაში მძულვარების ჩამაგდება. მან მოისურვა გატაცებულ შვილის აღზრდა მშობელი დედის სამტროთ და სატანჯველათ.

გულ დაჭრილი საქართველო შეჰყურებდა ამ საშინელებას, ის მაშინ უძლური იყო, მას არ შეეძლო აჭარის განთავისუფლება და სცოცხლობდა მხოლოთ თავის გულში აჭარის ლამაზი ანთებულ სიყვარულის ცეცხლით...

მაგრამ.. „მეფობენ დრონი და არა მეფენი“!

ხალხის რისხვის მეხმა პირქვე ჩაამხო ცოდვით აღსავსე დესპოტები.

დაიმსხვრა მათი გვირგვინები და ცოდვის ღრუბლებით აშავებულ ცაში თავისუფლების სხივმა გამობრწყინა,

მონობის ჯაჭვებ აწყვეტილმა დედამ გაშალა ხელები და სიყვარულით ანთებულ მკერდით გაეშურა შვილისაკენ.

მისი გულში ჩაკვრა ჩახუტებით უნდა აინაზღაუროს განშორების მწარე განცდა.

ულმობელ ცხოვრებას კი თავისი სიტყვა უთქვამს!

ქამთა ბრუნვას ამოუკვლავს აჭარა—საქართველოს შემაერთებელი გზა.

ბოროტების შავი აჩრდილები სდარაჯობენ ამ გზას და ხელს უშლიან მშობლიურ გრძნობის გაერთიანებას.

განშორების მწუხარებას თან დაერთო შეხვედრის მოუთმენარი ნატვრა, ტანჯვას ტანჯვა მოემატა...

მაგრამ ფუჭია შავ აჩრდილების ზრახვები!

ამაოა შინაურ „მეგობრების“ ანგარებით განძღენთილი ყბედობაც,

ბუნების კანონი აღსრულდება, სიმართლე სძლევს ბოროტებას, სიყვარულის ოქროს ქვიშით მოიფინება ეკლიანი გზა და საქართველო ძველებურათ ჩაეხუტება „პატარა ბავშვს“ განაწამებ აჭარას!

ქ. ფირცხალაიშვილი.

## საქართველოს კოოპერატიული ბანკი ბათუმში.

როგორც ჩვენს გაზეთში უკვე იყო აღნიშნული ბათუმში იხსნება საქართველოს კოოპერატიული ბანკის განყოფილება,

ახალ-ახალი ბანკების გახსნას ჩვენ შევეჩვიეთ. ისე თვეც არ გაივლის რომ ბათუმში ახალი კერძო ბანკი არ გაიხსნას. იმათი რიცხვი ერთობ დიდია. ამოდენა ბანკების არსებობას სრულებით არ მოითხოვს ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, ვაჭრობა-მრეწველობა აღება მიცემობა. თითქმის ყველა ისინი ჩაბმული არიან სპეკულიაციის ქსელში და ისედაც გართულებულ ეკონომიურ მდგომარეობას, კიდევ უფრო ართულებენ, კიდევ უფრო ამწვავებენ.

სულ სხვა არის კოოპერატიული ბანკი და მისდამი ჩვენი დამოკიდებულება.

საქართველოს კოოპერატიული ბანკი ერთად-ერთი საზოგადოებრივი ბანკია ჩვენს რესპუბლიკაში. მის გარშემო თავს იყრიან ჩვენში არსებული ყველა კოოპერატიული დაწესებულებანი. ბანკის აქციები განაწილებული არის მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივებს შორის.

ბანკი აწესრიგებს ფულის ტრიალს კოოპერატივებს შორის. ის თავს უყრის საზოგადოებაში არსებულ თავისუფალ თანხებს და აძლევს მას საწარმოებლად კოოპერატივებს.

ბათომში საქართველოს კოოპერატიული ბანკის განყოფილებას გახსნას სხვა და სხვა მხრივ აქვს მნიშვნელობა.

ბათომი რესპუბლიკის კარია, საიდგანაც ჩვენში შემოდის უცხო ქვეყნების სხვა და სხვა ნაწარმოები. აქ ბაზარია, სადაც თავს იყრიან მყიდველები, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. აქვე აქვს განყოფილება საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირს, რომელიც ყიდულობს საქონელს და შეუძლია აქედანვე გაანაწილოს დასავლეთ საქართველოს სარაიონო კოოპერატიულ კავშირებს შორის. ამის გამო დასავლეთ საქართველოს კოოპერატივებისა და მათი კავშირებისთვის დიდათ ხელსაყრელია, რომ აქვე იქნება მათი საკრედიტო ცენტრის განყოფილება, რომ მათ აღარ დასჭირდებათ ფულის სასესხებლათ თბილისში მოგზაურობა

მაგრამ ბათომში კოოპერატიული ბანკის განყოფილების გახსნას აქვს მეორე და უფრო მნიშვნელოვანი მხარე.

ეს არის მისი როლი ბათუმის ოლქში—სამუსლიმანო საქართველოში კოოპერატივების გავრცელება და გაძლიერების საქმეში. სამუსლიმანო საქართველოში კოოპერატიული მოძრაობა მხოლოდ ეხლა იწყება. მხოლოდ ახლა არსდება აქაიქ კოოპერატიულ ამხანაგობები, რომლებიც დიდს დახმარებას საჭიროებენ ბანკის მხრივ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს კოოპერატიული ბანკის განყოფილება განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ბათომის ოლქს და ხელს შეუწყობს იქ კოოპერატივების გავრცელებას.

კოოპერატორი.

## საქმე და საქმე.

რესპუბლიკა თავის თავად ეწვევა „კანცელიარშჩინას“...

დაწესებულებებში, ქაღალდებით დასტები განაგებს ხალხის ცხოვრებას.

მიწერ მოწერა სისტიკი ფორმალიზმი სწურავს ყველაფერს:

მოხელე ქაღალდს დასწერს რიგისამებრ გადასცემს და ამით ჰგონია ქვეყანა ააშენა.

რიგით გადაცემული ქაღალდი უმეტეს წილად ერთი თვე მგზავრობს, ხოლო ხშირად სრულიად ჰქრება იკარგება.

ამ გარდამავალ ხანაში ყოვლად შეუძლებელია „ქაღალდებით“ ცხოვრება.

ამ დროში ყველა მოსაქმე უძლიერეს სიფხიზლეს უნდა იჩენდეს და ანგარიშს უწევდეს იმ გარემოებას რომ დღეს ნაირ ნაირ მოვლენები ერთმანეთს წინ უსწრობენ.

ახლა მომენტის ყოველ აღებას აქვს რეალური მნიშვნელობა და თავის დროზე მოვლენების შეცნობას ექნება ფასი.

თეორია, ფორმალიზმი, „განკარგულების გაცემით“ დაკმაყოფილება და კანცელიარიის სისტემა დღეს საყოველთაოთ უარყოფილია. ხალხი რომელსაც სახელმწიფური ცხოვრება აქვს მრწამსად დასახული ის მხოლოდ საქმეს აკეთებს ყოველ ლამაზ სიტყვიდან შესაფერ საქმეზე გადადის

მაშინ როცა ყოველი გათენებული დღე ახალ პირობებს გვიყენებს და ყოველ დაღამებული ღამე ახალ სიძნელეთ გვირდგენს როგორ შეგვიძლია ჩვენ კანცელიარიულ სისტემას ჩავაბაროთ სახელმწიფოს ბედი.

იმ მომწიფებულ კრიზისში რომელშიც ჩვენ ჩავარდით თავის დახწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ყოველი მოსაქმე სათანადო სიფხიზლეს და სიმტკიცეს გამოიჩენს და ყოველ საქმის შესრულებას თვითონ გაუწევს კონტროლს.

მთელი ქართველი ერი მოსაქმეთ უნდა იქცეს, ყველა უნდა აკეთებდეს რამეს ლამაზ აკი თეორიულ პროექტებს უნდა ვამოვეთხოვოთ.

ჩვენი ცხოვრების ყოველ მაჯის ცემას და საჭიროებებს ლეიძარი დარაჯნი და მზრუნავნი უნდა ვიყვნენ.

მეტი საქმიანობა და ნაკლები ფორმალიზმი

თითო თვეობით საქმეების დაგვიანება ამ საქმეთ ყოველ გვარ მნიშვნელობას უკარგავს.

სხვა და სხვა მოხელენი ხშირად ისეთ მოთხოვნილებას რომელსაც გამოკვების, საექიმო საწრაფო დახმარების და სხვა მნიშვნელობა აქვს „ტრადიკიულად“ აგვიანებენ, რადგან საქმეს აძლობენ კანცელიარშჩინას და მიწერ მოწერას, ასეთ გარემოებას სახელმწიფოს დაღუპვა შეუძლია.. უნდა დავგმოთ და განვიშოროთ ეს ავი სენი...

დღევანდელ ურთულეს პირობებში სახელმწიფოს არსებობა შეუძლია მაშინ, როცა ყველა სიერთგულით საქმეზე იქნება ყველა საქმეს გააკეთებს და გააკეთებს თავის დროზე საწრაფოდ. ეს არის conditio sine quanon!..

ვერაოდოთ კანცელარიის მიწერ მოწერის და ქაღალდების მგზავრობის რეჟიმს..

ჩვენი ბედი საქმემ მუდმივმა შრომამ უნდა გამოსჭედოს.

საქმე და საქმე!..

ირ—დი.

## ყუბანის მოწოდება.

კოსტანტინოპოლი. ყუბანის ატამანმა და ყუბანის მთავრობის თავმჯდომარემ ანტანტის წარმომადგენლებს, ამერიკას, საქართველოსა, პოლონეთსა, უკრაინასა და დონის და თერგის ატამანებს შემდეგი შინაარსის განცხადებით მიმართა: ბოლშევიკებთან სამი წლის ბრძოლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ანტიბოლშევიკურმა ძალებმა, რომლებსაც დენიკინი და ვრანგელი მეთაურობდენ, გამოიყენეს ყუბანი თავის მიზნებისათვის და იქ ანტიდემოკრატიული პოლიტიკა გაამეფეს. ამ ძალთა დამარცხება იყო შედეგი არა ბოლშევიკების ძლიერებისა, არამედ ანტიბოლშევიკურ ძალების უძლურებისა, რომელიც გამოიჩინეს მათ შინაურ ორგანიზაციის მოწყობაში. ყუბანი მომავალშიაც განაგრძობს ბრძოლას საბჭოთა მთავრობასთან, მაგრამ ის არ სთვლის შესაძლებლად აწარმოოს ბრძოლა იმ ძალებთან დაკავშირებით, რომლებმაც თავი რეაქციონურ პოლიტიკით ისახელეს. მომავალ ბრძოლას ყუბანი მხოლოდ დემოკრატიასთან ერთად შეთანხმებით აწარმოებს: რომ 1) ის თვლის თავისუფლად თავის თავს იმ ხელშეკრულებიდან, რომელიც დაიდო ვრანგელთან აგვისტოს 4-ს, 2) ყუბანის ჯარის ნაშთები უნდა ჩაითვალონ ლტოლვილებათ., 3) ლტოლვილთა მომავალ ბედს ყუბანის მთავრობა ანდობს საფრანგეთის მთავრობას.

## უცხოეთი.

ანგორაში მიმავალი საქართველოს დელეგაცია.

კოსტანტინეპოლი „ბოსფორი“ იუწყება: ტრაპიზონში ჩავიდა ანგორაში გაგზავნილი საქართველოს საგანგებო მისია სიმონ მდივანის თავმჯდომარეობით. მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლები მისიას დიდის ზეიმით შეეგებენ. მისიის საპატივცემულოდ გაიმართა ჯარების აღლუმი, რის შემდეგაც გუბერნატორის სასახლეში გაიმართა ბანკეტი სამსუნიდან მისია ანგორისაკენ ავტომობილებით გაემართა.

ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

„ბოსფორი“ იუწყება: [illegible] ცნობა, რომელიც ბოლშევიკების [illegible] ქართველების მოქრავს [illegible] ბოროტი ფანტაზიის გამოგონილი [illegible] თფილისის [illegible] დამო[illegible] დებულება ასე თუ ისე ნორმალურია. ბათუმიდან ჩამოსული პირები, რომელნიც ამგვარ ხმებს ავრცელებენ, უმთავრესად წარმოადგენენ საქართველოდან გადმოსახლებულ სპეკულიანტებს, რომელთაც უფლება არა აქვთ საქართველოში დაბრუნებისა.

კომუნისტების მოკვლა.

კომუნისტურ ინტერნაციონალის უცხოეთის საქმეების ბიურომ მოსკოვში გამოაქვეყნა ცნობა მურმანსკისა და ნორვეგიის პორტის ვარდოკის შორის საფრანგეთის სამი სოციალისტის რეიმონ ლეფევრის, ვერჟასა და დეპერტის მოკვლის შესახებ. ბიურო ადასტურებს ცნობას მათი სიკვდილის შესახებ. მაგრამ მკვლელობაში ბრალს მოკავშირეთა აგენტებს სდებს. ფრანგი სოციალისტები მართალაც მოკლეს, მაგრამ სწერს გაზეთი „ლიბერტე“ უაზრობა იქნება იმის გამოცხადება, თითქოს დანაშაული მოკავშირეთა აგენტებმა ჩაიდინეს, მკვლელები მოსკოვში.

საფრანგეთის ახალი მთავრობის დეკლარაცია.

დეპუტატთა პალატის მრავალრიცხოვან კრებაზე საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ ბრიანმა წაიკითხა დეკლარაცია მთავრობისა და გააცნო მას იმ პოლიტიკის საერთო ხასიათი, რომლის განხორციელებასაც ფიქრობს მთავრობა ბრიანმა მოიპოვა სერიოზული კრიტიკით სავსე სიტყვები დეპუტატებისა პალატის სხვა და სხვა მხარეებიდან. კამათი გადიდდა. პარასკევისათვის. ამ დღეს გასცემს ბრიანი პასუხს თავის ოპონენტებს და მოითხოვს ნდობის ვოტუმს. ბრიანის სიტყვის დიდი ნაწილი დაიკავა ზარალის ანაზღაურების გერმანიის განიარაღებისა და და საფრანგეთსა და მოკავშირეთა შორის არსებული დამოკიდებულობის საკითხებმა. ბრიანმა გაამუქა აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის პრობლემა და რუსეთის საკითხი. ჩვენ მოვაწერეთ ხელი გერმანიასთან დადებულ საზავო ხელშეკრულებას, სთქვა მან, მაგრამ ჩვენ კიდევ არ ვსარგებლობთ ზავით, სამართლიან ზავით, რომელსაც შეეძლო დაეცვა საფრანგეთის საარსებო უფლებები და უზრუნველეყო მისი მდგომარეობა. ჩვენ უზრუნველყოფილნი ვიქნებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია იქნება განიარაღებული ეს არის სასიცოცხლო საკითხი და ჩვენ მთავრობის უპირველესი სადავო მოვალეობას შეადგენს მისი განხორციელება. შემდეგ ბრიანმა სთქვა, საფრანგეთსა და მოკავშირეთ შორის მტკიცე კავშირი არის ერთად ერთი პირობა, რომელსაც შეუძლია მოაწესრიგოს ყველა სადავო საკითხები, რომლებიც ხელს უშლიან სამართლიან ზავის დამყარებას და, დაუმატა მან, ჩემი მიზანი იქნება დავიცვა და ხელი შევუწყო ამ შეთანხმების განმტკიცებას.

საფრანგეთი.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შემდეგი განცხადება გაუკეთებია რუსეთის საკითხის გამო: „საფრანგეთი იმათ არის საუკეთესო დამოკიდებულებაში შევიდეს საბჭოთა რუსეთთან იმ პირობით, რომ რუსეთი ყოფილ მეფის მიერ საფრანგეთში აღებულ სესხის განაღდებაზე გარანტიას მოგვცემს. საფ-

...ნგეთი, ამბობს ბრიანი, მოერიდება ...ამს რუსეთთან, მაგრამ თუ კი რუ...ეთი თავს დაესხმის თავის მეზობ...ებს, საფრანგეთი მათ ყოველგვარ ...მარებას აღმოუჩენს, რადგან ისი ...ვროპის კულტურის და მცველნათ... ...მოდიან ბოლშევიკების წინააღმდეგ.

საბერძნეთი.

...თინიდან იტყობინებიან: „მეფე ...ონსტანტინე სმირნის ფრონტზე ...მგზავრებას აპირებს, მაგრამ ჯერ ...არლამენტის მუშაობის დაწყებას ...ცდის.

საბერძნეთი.

...ლინთა მისია იტყობინება, რომ ...ცირე აზიის ფრონტზე საბერძნეთზე ...ჯარი შეტევაზე გადავიდა ქემალის-...ების წინააღმდეგ. საბერძნეთის ...ჯარმა დაამარცხა ქემალისტები და ...თელი რიგი სოფლებისა და სიმაღ-...ლეებისა დაიკავა. უახლოვდებიან ...ოვგუტს.

აზერბეიჯანი.

...სპარსეთის მახსევნებმა აზერბეი-...ჯანის საზღვარი გადმოლახეს და ...დიდი ნაწილი ლენქორანის მაზრისა ...დაიკავეს. აზერბეიჯანის მთავრობამ ...ამის გამო პროტესტით მიმართა ...სპარსეთის წარმომადგენელს. ეხლა ...როგორ იტყობინებიან, აზერბეი-...ჯანსა და სპარსეთის მთავრობათა ...შორის შეთანხმება მომხდარა და ...სპარსეთის წარმომადგენელი ბაქოში ...დაბრუნებულა.

პოლონეთი და ლიტვა

...ლონდონი. (რადიო) პრესა გად-...მოგვცემს, რომ ახლო ხანში რიგაში ...შესდგება მოლაპარაკება პოლონეთსა ...და ლიტვის შორის გერმანიის წინა-...აღმდეგ მიმართული კავშირის შეკ-...რის შესახებ.

ჯარის დემობილიზაცია

...ბერლინი. „გაზ. ვარშავსკა“ იუ-...წყება: პოლონეთის მინისტრთა საბ-...ჭომ დაადგინა ჯარის ნაწილობრივი ...დემობილიზაცია.

მექსიკაში

...პარიზი. „მატენი“ იუწყება: მექ-...სიკის მთავრობამ გააუქმა ინგლისის ...კომპანიების ყველა უფლება მექსი-...კის ნავთის ექსპლოატაციაზე.

რუსეთ-ფინეთი

...ჰელსინგფორსი ფინეთის რესპუბ-...ლიკის პრეზიდენტმა დაამტკიცა ...რუსეთის საზავო ხელშეკრულება

კომუნისტების დატუსაღება

...პარიზი. იტალიაში კომუნისტებს ...ატუსაღებენ. დატუსაღებულთ მთე-...ლი რიგი დოკუმენტებისა აღმოჩ-...ნდათ.

რუსეთი და ამერიკა

...ლონდონი. ნიუორკში დაბრუნე-...ბულმა ვანდერლიგმა განაცხადა პრე-...სას: შეთანხმება, რომელიც დავდე-...თი რუსეთთან ამერიკის სინდიკატის ...სახელით შევა ძალაში მხოლოდ მას ...შემდეგ, როცა შეერთებული შტა-...ტები რუსეთთან სავაჭრო დამო-...კიდებულებას აღადგენსო.

რ უ ს ე თ ი

...პარიზი. „ჰუმანიტეს“ რუსეთის ...საკითხის შესახებ მოჰყავს საფრან-...გეთის მთავრობის თავმჯდომარის ...შემდეგი განცხადება: საფრანგეთი ...მზათ არის აღადგინოს სავაჭრო ...დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთ-...თან იმ პირობით, თუ უკანასკნელი ...გადაიხდის მეფის ვალებს. საფრან-...გეთი წინააღმდეგია რუსეთთან პირ-...დაპირი ომის დაწყებისა, მაგრამ თუ ...ბოლშევიკები დაესხენ თავს თავის ...მეზობლებს, ჩვენ აღმოუჩენთ უკა-...ნასკნელთ დახმარებას, ვინაიდან ისი ...იცავენ ევროპის ცივილიზაციას ...ბოლშევიკებისაგან.

29 დეკემბერს ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია დასრულდა. გენდერსონმა განაცხადა, რომ მუშათა პარტია მანიფესტაციებს მოაწყობს ინგლისის ქალაქებში ირლანდიაში მშვიდობიანობის დამყარების სასარგებლოთ.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია რომელშიაც პარტია ითხოვს მთავრობისაგან: 1) კომერციული დამოკიდებულების აღდგენას რუსეთთან 2) თავისუფალი აღებ-მიცემობის აღდგენას ცენტრალურ სახელმწიფოებთან 3) უმუშევართათვის მუშაობის მოწყობას.

## სტამბოლის ცნობები.

ქემალ ფაშას თანაშემწემ ესეცა ბრძანება, რომ ოტომანთა მთავრობის ყველა განკარგულებანი აღდგენილი იქნებაო.

— ტრაპიზონის გაზეთების ცნობით ინდოეთის აჯანყებას სათავეში უდგანან ოსმალები და არა რუსებიო.

— სომხების ცნობით რუსეთს აზრად ჰქონდა ენვერ ფაშის აჯანყებულ ინდოეთის ჯარების მთავარ სარდლათ დანიშვნა.

— გაზ. „ბოსფორის ცნობით გერმანელი უმცროსი ოფიცრები და ჯარის-კაცობაც მასიურად ეწერებიან უკრაინის ჯარში ბოლშევიკებთან საბრძოლველადო.

— ოდესიდან მოსულ ცნობებით ბირზულის მიდამოები მეამბოხე გლეხებმა დაიკავეს კიევის, ვორონეჟის, ხარკოვის და პოდოლის გუბერნიები ბოლშევიკების საწინააღმდეგო ცეცხლშია გახვეულ.

## შავი ზღვის რადიო.

რუსეთში ყოფილა 25.000 ოსმალო სამხედრო ტყვე რომელიც ანგორიის მთავრობის მოთხოვნით სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ ქ. ბაქოთი — ბოლშევიკები იუწყებიან რომ შავ ზღვაზე ანაპასთან ყრანგები თავს დაგვესხენო.

## უკანასკნელი საათი.

— გუშინ ბათომში ხმა გავრცელდა რომ საქართველოს და საბჭოთა ქვეყნებს შორის შეთანხმება მოხდაო.

## ახალი ამბები.

მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებული ბ. გიორგაძე თფილისიდან ბათომში დაბრუნდა და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულე-

— გუშინ უნდა მომხდარიყო მედიკო სანიტარულ საზოგადოების სხდომა, რომელზეც სხვათა შორის უნდა განეხილათ ამბულატორიის მოწყობის საქმე.

თავ დაცვის საბჭოს დადგენილებით კერძო პირთ ელექტრონის მიცემა შეუწყდებათ.

ბათომში ჩამოვიდა ფრანგულ სამხედრო მისიის წევრი კორკი.

— ბათომში გრძელდება მილიციის კულტურულ საგანმანათლებლო სექციისთვის შემოწირულების მოგროვება.

— მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული მიაქცევს საფოსტო უწყების ყურადღებას, რომ ოლქთან საფოსტო ურთიერთობა წესიერად სწარმოებდეს

ბ. დანიელოვმა შესწირა ფრონტის დამხმარე კომიტეტს $9^{1}/_{2}$ ფუთ ნახევარი თამბაქო, 15 ფუთი კი დაუთმო 1080 მან ფუთი.

მე 9 ბათალიონის ჯარისკაცებს საჩუქრები დაურიგეს ფრონტის დამხმარე კომიტეტის წევრებმა საჩუქრების დარიგების სადღესასწაულო ხასიათი ჰქონდა. გაიმართა მიტინგი სიტყვა წარმოსთქვეს კომიტეტის წევრებმა, ოფიცრებმა ჯარის კაცებმა. ჯარისკაცები ძლიერ მადლიერნი დარჩენ საჩუქრებით. აგრეთვე საჩუქრები დაარიგეს მესამე ბათალიონში.

ფრონტის დამხმარე კომიტეტი შემომწირველთა სიის გამოქვეყნებას მალე შეუდგება.

ქალაქის თავის ბინის საკითხის გამო მთხოვნელებს იღებს 9 საათამდე

24 იანვარს ქალაქის საბჭოს ტეხნიკური კომისიის სხდომა შესდგება. გამგეობის წევრი ქორქაშვილი მოხსენებას გააკეთებს იმ საწარმოო დაწესებულებათა შესახებ, რომლის მოწყობა განზრახული აქვს ქალაქის გამგეობას.

22 იანვარს ქალ. სარევიზიო კომისიამ დაათვალიერა ქალაქის ცენტრალური საწყობი.

გამგეობის წევრის ქორქაშვილის განკარგულებით ქალაქის საავადმყოფოს რევიზია მოხდება.

ქალ გამგეობის სტატისტიკური განყოფილებაში მზადდება მასალები ქალაქის საბჭოს არჩევნებისათვის ამომრჩეველთა აღწერისათვის.

25 იანვრიდან სტატისტიკურ განყოფილებაში მიიღება რეგისტრატორების ჩაწერა.

იმის დამიხედვით თუ როდის დასრულდება წინასწარი მუშაობა აღწერა დაიწყება 30 იანვარს, ან 1 თებერვალს.

ართვინის მაზრის მცხოვრებთა წარმომადგენლების კრება ართვინის მაზრის მცხოვრებთა წარმომადგენლების კრებამ 22 იანვარს დაადგინა ეთხოვოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულს, რომ ართვინის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი წულუკიძე არ იქნეს გადაყვანილი ართვინის ოლქიდან, როგორც თავის მოვალეობის საუკეთესო შემსრულებელი ხელს აწერენ კრების ყველა წევრები.

ბათომის მაზრის კომისარის პლატონ მიქაბერიძის დადგენილებით 22 იანვარს 1921 წ. დაპატიმრებული და მოთავსებული არიან ბათომის საპყრობილეში თითო თვის ვადით, როგორც მავნე და არა საიმედო პიროვნებები დღემონ... დ...ლ წესწყობილებისათვის:

1. ფილიპე მანაგაძე, 2, ახმედ ბასილაძე, 3, სულეიმან მანველოღლი, 4, მამუდ გირჩელი და 5, ხასან თამაზ-ოღლი.

ბას.

მადლობა სახალხო გვარდიის ბათომის შტაბი მადლობას უძღვნის ევგენი ტრინცს, რომელმაც შესწირა გვარდიას უნაგირი თავის გაწყობილებით.

ქართველ სტუდენტთა საღამო. 26 იანვარს შმაევსკის თეატრში ქართული დასის, რუს მსახიობებისა ბარტენიევის, მოცეკვავე მიშა და ფლერის, ველსკაიას, სახ. თეატრის მსახიობის ქ. ვრონსკის და სხვათა მონაწილეობით გაიმართება გრანდიოზული საღამო. წარმოდგენილი იქნება მხიარული ვოდევილი „ქალის ძალა“. დადგმება „ლოცვა გალ. ტაბიძისა“ ინსცენიროვკა, დივერტისმენტი ცეკვა, სიმღერა, იუმორი, მუსიკა.

თეატრი „პელ-მელი“ 26 იანვარს საუკეთესო პროგრამა: 30% შემოსავლიდან გადაიდება „ქართველ სტუდენტთა სასარგებლოთ- ანტრაქტის დროს გაიყიდება ყვავილები და გაზეთი. მოეწყობა გრანდიოზული ამერიკული აუქციონი.

კაფე „პავილიონი“ ოთხშაბათს, 26 იანვარს ქართველ სტუდენტთა სასარგებლოთ გაიმართება დიდი კაბარე. მონაწილეობენ: ... პოვი და ქუბი, ვოლსკაია. გარისი. ყვავილები, ამერიკული აუქციონი.

## მუშათა ცხოვრება.

სეკრეტარიატის ერთ მთავარ მიზანს და დანიშნულებას შეადგენს მუშათა კლასის ორგანიზაციული შეკავშირებას, მათი შეთანხმებული მუშაობა და აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა წევრების კულტურულად და კლასობრივად აღზრდა.

ყველასათვის ცხადია, თუ რამდენათ ძნელია დღევანდელ მძიმე პირობებში წარმოება კულტურული მუშაობისა და რამდენათ შესაძლებელია ასეთი მუშაობა რესპუბლიკის გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობის დროს.

მაგრამ, პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატმა მიზნად დაისახა ხელი მოეკიდა ამ ერთად-ერთ უდიდეს და მნიშვნელოვან საქმისათვის და მოეწყო სიმფონიური დილები, კონცერტები. გაემართა წარმოდგენები გაეხსნა სამკითხველო და სხვა, რომ ამით მუშათა კლასისათვის მიეწოდებია გონებრივი საზრდოც.

ამ მიზნით, პირველად ყოვლისა, მუშათა სასახლეში სეკრეტარიატმა მოაწყო სიმფონიური დილა, რომელიც რეგულიარულად იმართება ყოველ კვირა დღეს. ამ საქმის მოწყობაში დიდი სამსახური მიუძღვის სცენის მოყვარეთა კავშირის მემუსიკეთა სექციას.

სამკითხველოს გახსნა, ლექციებისა და წარმოდგენების მოწყობა ჯერ ვერ მოხერხდა, რადგანაც ამისი მიზეზი ბევრი რამ არის, მაგრამ იმედია, ახლო მომავალში ეს ნაკლიც გამოსწორდება, მხოლოდ ერთი რამ კი ყველაზე უფრო სამწუხაროა

სეკრეტარიატს იმედი ჰქონდა, რომ თავისი დაწყებული მუშაობა უფრო მეტად საყურადღებო იქნებოდა მუშათა კლასისათვის ჩვენ გვეგონა, რომ ამ სიმფონიურ დილებს დაესწრებოდა უფრო მეტი წილი კავშირების წევრებისა, მაგრამ აგერ მეცხრე სიმფონიური დილა გაიმართა და სამწუხაროდ მუშებს

## ერთი კვირა ფრონტზე.

სწორედ შობა დილით გვესტუმრენ თბილისიდან იოსებ იმედაშვილი და ქ-ნი სემიონოვი, რომლებიც მთავარ კომიტეტს გამოეგზავნა ჩვენთან ერთად ფრონტისკენ წასასვლელად. საჩუქრები ჯარისკაცთათვის ორი დღეა მზათ გვქონდა: ჩაწყობილი, დალაგებული. შობასა და მეორე დღეს ზოგი რამ მიუმატეთ აფიცრებისთვის თუ რაც დაგვაკლდა და კვირა დილით, 9 იანვარს, დავტვირთეთ საბარგო ავტომობილი „ალბიონი“. გადავიღეთ სურათი, გახსენეთ ღმერთი და გავუდექით ქობულეთისკენ. საუცხოვო ამინდი შეგვიხვდა: ცხრა თვალა მზე, ცოტა ახალ შემოდგომის რთვილივით ანათებდა და ცივი ბორიო სახეში! გავიარეთ ურეხი, ცრგე, ქობულეთის ხევებით პირზე; გამოჩნდა აქა—იქ სადარაჯოები ოთხი-ხუთი კაცისაგან შემდგარი; უკვე ყველგან სალდნიათ: ტელეფონიით გადაუციათ: მოდიანო. ყველგან სამხედრო სალამით გვხვდებიან მცირე სადარაჯოები!

ესეც აჭარის წყალი! აქ მოზრდილი რაზმია! ვჩერდებით, ბათომის კომიტეტისა და საზოგადოების სახელით სალამს ვუძღვნით ჯარს! გაისმის ძლიერი ვაშა! იოსებ იმედაშვილი და ქ-ნი სემიონოვი თბილისის სახელით ესალმებიან ჯარს. კიდევ გაისმის ვაშა!

ჯარისკაცთა და აფიცრებს დღესასწაული აქვთ: ყველა აღფრთოვანებით და სიხარულით გვეკითხებიან კომიტეტის მუშაობისა და შემადგენლობის შესახებ. შევუდექით საჩუქრების დარიგებას. მოდიან რიგრიგობით, წყნარად; სათითაოდ მადლობას გვეუბნებიან!

გამოჩნდენ პირადი ნაცნობები და მეგობრებიც: ზოგი ძველი მუშაა, ზოგი სოფლის მოღვაწე; ახლა ყველას ფარაჯა აცვია და სადარაჯოზე სდგას.

გამოთხოვებისას რაზმის უფროსი მიხეილ რ—შვილი სიტყვას იღებს და მხურვალე გულით რაზმის სახელით მადლობას უძღვნის იმათ, ვინც ისინი არ დაივიწყა.. ფიცს სდებენ რომ სიცოცხლეს არ დაიზოგავენ ქვეყნის გადასარჩენად და საკეთილდღეოდ.

წასასვლელად ვემზადებით: მოკლე საპასუხო სიტყვას ვეუბნებით გამოშვიდობებისას.

იოსებ კი აღარ ხუმრობს: ის ღელავს, ამ სანახაობამ მას სახე აუწითლა, მოსვენება აუფორიაქა და დასამშვიდობებელ სიტყვაში მთლად ცეცხლი დაანთო: ნუმცა მენახოს მე თქვენი მარცხი, ნუმცა მაცოცხლოს სამშობლოს წახდენ ის დღემდე.. სანამ თქვენ მ გვიულვებით, ჩვენი ქვეყნის ბედი უზრუნველყოფილად მიმაჩნია და სხვ. დაუსრულებელი ვაშას ძახილით გააცილეს ჩვენი „ალბიონი!“

გავიარეთ პატარა სადარაჯოები.. მარადიდში მივედით საღამო ხანია. სამხედრო წესზე გამწკრივებულნი დაგვიხვდენ. მივესალმეთ, საჩუქრები დავტოვეთ, მადლობა გვითხრეს. ჩვენს „ალბიონს“ წინ გაუსწრო გიზო ანჯაფარიძის და ონიფ. რამიშვილის ავტომობილმა. ამათ უკვე გაიარეს აჭარის-წყალი, ენახათ იქაური რაზმი და მარადიდში მოგვასწრეს.

აქედან კი უკან დაბრუნდენ. ჩვენ ბორჩხისკენ გავსწიეთ.

ღამემ სოფ კინცხურეთში გვისწრო. თავი შევაფარეთ გზის პირად ერთ სახლს, რომლის პატრონი, შეიხა მუსტაფა ოღლი აღმოჩნდა, მშვენიერი მოქართულე, კინცხურეთელი მუსლიმანი. ბევრი რამ გულ საწყალი გვიამბო შეიხმა თავისი უბედობისგან. ის აგერ სამოცი წლის კაცია. მისი სახლკარი ს. კინცხურეთში დაუნგრევიათ... თითონ სათათრეში გაქცეულა. ახლა უნდა ისევ აქ მოიდგას ფეხი. ხე-ტყეს ეზიდება. რომ სოფელში სახლკარი აიგოს.

ოსმალეთში სიცოცხლეს აქ სიკვდილი ურჩევნია ჩამომავლობით თავს გურჯათ სთვლის, ოღონდ ქართული გვარი კი დაუკარგავს, როგორც თითონ ამბობს.

ჩვენ დიდის პატივისცემით და თავაზიანობით გვეპყრობა: მოგვართვა ვაშლი, ნიგოზი, ცხელი წყალი, პროწეული; დაგვინთო ცეცხლი და მოგვასვენა როგორც შეეძლო. აქვე სულ თავს თაგვტრიალებდა ამავე სახლში მდგომი ახალგაზრდა სეიდ გიორგომიძე მარადიდელი, რომელიც აქ მილიციონერად მსახურობს. ჯერ სულ ბავშვი არის; ლტოლვილობა და წვალება, ოსმალეთში გაქცევა და უკან დაბრუნება ამასაც გამოუცდია. მომავალს იმედით უცქერის სეიდი. ზრდილობა ნამდვილ აფხაზური აქვს: ორი საათი მეტია რაც აქ ვართ სეიდი სულ ფეხზე დგანა და ვერ დავაჯინეთ, მიუხედავათ ჩვენი თხოვნისა.

დილით ბორჩხისკენ გავუდგებით.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


საღვინე გასტრონომიული მაღაზია

**იყიდება** დაწმენდილ დაცდილი ...
**იამაის რომი** კონიაკი „IMPERIAL"
და სხვა სასმელები მაღალი ღირსების

სავაჭრო სახლი **ქმ. სესიაშვილების და ამხ.**

25—9


მაინც ცოტას ვხედავთ ამ დილებზე, ინტელიგენციას და სხვა კლასს კი ზევრს.

შეიძლება ამის მიზეზი იყოს ეკონომიური მდგომარეობა მუშებისა, დღევანდელი მძიმე პირობებით იყოს ეს გამოწვეული, მაგრამ, არა გვგონია, რომ ასეთი მოსაზრება ჩაითვალოს საკმარისად.

დროა, რომ ყველა პროფესიონალურ კავშირების წევრებმა გამოიჩინონ ხალისი და ენერგიულად შეუდგენ კულტურულ მუშაობას და შეიგნონ, რომ ადამიანი მარტო პურით არ სცხოვრობს, არამედ მას ესაჭიროება გონებრივი საზრდოც, სულიერი ამაღლებაც.

### სეკრეტარიატში.

კვარცხანის სპილენძის ქარხნის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობისაგან სეკრეტარიატში შემოვიდა თხოვნა, რომელშიაც სთხოვენ სეკრეტარიატს დახმარება აღმოუჩინონ მათ თანახმად შრომის სამინისტროს ცირკულიარისა ერთდროული დახმარების მიღების შესახებ.

ამასთან ერთად ამ თხოვნაში ნათქვამია, რომ თათრების ბათომში შემოსვლის დროს ეს ქარხანა დაიხურა და მუშა-მოსამსახურეებს მიეცა ქარხნის ადმინისტრაციისაგან ხელმოწერილი სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემის ვალდებულებისა, როდესაც ქარხანა განაახლებს თავის მუშაობას. ამის გამო ქარხნის გამგეობამ გადასწყვიტა მიეცეს მუშებს მაშინდელ მანეთში 15 მანეთი, მუშების აზრით კი, ეს ნორმა ცოტა არის და შუამდგომლობს სეკრეტარიატის წინაშე, რათა უფრო მეტად იქმნას გადიდებული ეს ნორმა

— ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობისაგან სეკრეტარიატში შემოვიდა შემდეგი განცხადება:

„ლითონზე მომუშავეთა მუშები ბევრი ჩაწერილი არიან სხვა და სხვა კავშირებში, მაგალითად თუ ის სახურებს ქალაქის ელექტრონის სადგურში და თუ ის ითვლება გზათა სამმართველოს სამსახურში, მიწერილია გზის სამართველოს მუშამოსამსახურეთა კავშირიზე და სხვა, რაც კავშირის მთლიანობის არღვევს და აფასებს მის ნაყოფიერ მუშაობას. — ამისათვის ვსთხოვთ სეკრეტარიატს დახმარება აღმოგვიჩინოს და ეს აღნიშნული მუშები ჩაწერილ იქმნას მხოლოდ ლითონზე მომუშავეთა კავშირის წევრებათ".

— აქციონერული საზოგადოების ფორიერისაგან სეკრეტარიატში შემოვიდა შეკითხვა: გთხოვთ აგვიხსნიოთ, ერგება თუ არა ერთდროული დახმარების იმ მუშებს, რომლებიც მუშაობენ ნაჭრებით, აკეთებენ ორ-სამჯერ მეტს ჯამაგირზე და რამდენი მათ მიესურვებათ, იმდენ საათებს მუშაობენ დღეში.

## თეატრი და მუსიკა.

### ქართული დრამა.

უკვე ოთხი თვეა, რაც ბათომში მუშაობს ქართული დასი, თვეში ექვსჯერ შმაევსკის თეატრში იმართებოდა წარმოდგენები. მაგრამ დასი იმდენათ სუსტია ძალებით, რომ დიდ პიესის დადგმა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამან შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ქართული წარმოდგენებზე ჩვენი საზოგადოება სათანადო ხალისით არ ესწრებოდა სახ. წარ. მართველი არა ერთხელ და ორჯერ შეეცადა დასის გაძლიერებას. მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ყველა ჩვენი მსახიობები თბილისში სახელმწიფო დასში, მოწვეულ სახელმწიფო დასიდან მსახიობის გამოყვანა ყოვლად შეუძლებელია. მიუხედავათ ამისა წრის გამგეობამ მაინც შეძლო დასის და რეჟისურის გაძლიერებლათ ძალების შოვნა. როგორც დანამდვილებით გავიგეთ მოკლე ხანში ბათომში ჩამოვა სახელმწიფო თეატრის მსახიობი ალ. იმედაშვილი. მოწვეულია აგრეთვე დამსახურებული მსახიობი ქალი ნატ ჯავახიშვილი, ალ. იმედაშვილის და ნატ. ჯავახიშვილის დასში შესვლა ძირიანათ შეცვლის დასის მუშაობას. უკვე შესაძლებელი იქნება ისეთ პიესების დადგმა, როგორიც არის ოტელლო და სხვ. დარწმუნებული ვართ ქართველი საზოგადოება დააფასებს სახ: წარ მმართველი წრის შრომას და ჩვეულებრივი ხალისით დაესწრება განახლებულ დასის წარმოდგენებს.

### „დღენი ჩვენი ცხოვრებისა".

სახ. წარ. მარ. წრის დასი ამზადებს ახალგაზრდა მსახიობის დ. ძნელაძის საბენეფისოთ ლ. ანდრეევის ცნობილ პიესას „დღენი ჩვენი ცხოვრებისა".

## ქართველ სტუდენტის დღე

ქართველი ერის ცის კაბადონზე შავათ შეყრილი ღრუბელთა დენა წარღვნას უქადდა „ქართლის" ცხოვრებას. გააქებულ ქართველის მკლავებს ერთხელ კიდევ სისხლით უნდა მოეწყო თვისი სამშობლო..

და ამ ქაოსის ქარტეხილთან ბრძოლაში მძლეთ გამოვიდა ქართველი ერი. მან ხმალთან ერთად ცოდნით იგემა ეს გამარჯვება, ამარცხა ძველი და ახლის შენებას შეუდგა იგი

ამ შენების სიმბოლოდ, ხალხის გულში შვების აღმძვრელი და ქართველ დემოკრატიის ისტორიაში წარუშლელი შეიქმნა 1918 წლის 26 იანვარი ამ დღეს თავისუფალმა ერმა ერთხმათ აკურთხა მეცნიერების ტაძარი, საქართველოს დედაქალაქში უნივერსიტეტი გახსნა.

სამი წელია, რაც ქართველი ერის შვილები, ამ ტაძრის ირგვლივ შეკრებილნი ეწევიან შრომას მეცნიერების შესასწავლად. მრავალი სტუდენტი ყოველი მხრიდან აწყდება ამ „საკურთხევლის" კარებს, მაგრამ აქ მას კვლავ ჩვეული დაბრკოლება ელოდება წინ და გაფაქიზებულ სურვილს ბოჭავს, საზღვარს უდებს. ვინც ჩაკვირვებია ქართველ სტუდენტის ცხოვრებას, ვისაც კი ერთი წუთით მაინც განუცდია მათი სულიერი მდგომარეობა, უეჭველია ისიც ეცოდინება, თუ რა შავი ხაზებითაა ის დაწერილი, უბინობა, შიმშილი ხელს უშლის ქართველ სტუდენტს სათანადო ცოდნის მიღების საქმეში.

26 იანვარს მთელს საქართველოს რესპუბლიკაში მესამედ დღესასწაულობენ ქართველ სტუდენტის დღეს. ეს დღე ბათომშიც იმართება თბილისიდან გამოგზავნილ და ადგილობრივ სტუდენტთა მიერ. ბათომი საქართველოს თვალად მიაჩნიათ— უეჭველია ის ღირსეულ წვლილს შეიტანს ქართველ სტუდენტის დღე სასწაულში: ამ დღეს ყველა, დიდი თუ პატარა, მას უნდა თანაუგრძნობდეს, მას უნდა ეხმარებოდეს—ვინც აქ სიძუნწეს გამოიჩენს, ვინც მას მტრულად შეხედავს—ის მტერი იქნება ჩვენი მომავლის.

მაშ დახმარება, ყოველ გვარი დახმარება—ქართველ სტუდენს—და მის კერას—უნივერსიტეტს.

26 იანვარს, ერთხელ კიდევ წრფელი გრძნობით შევიდეთ „დიდი ტაძრის" დღესასწაულში და მას „ზვიადი" გულით გაუწოდოთ დახმარების ხელი.

გაუმარჯოს საქართ. დემოკრატიას და მის წიაღში წარმოშობილ ქართულ უნივერსიტეტს, ქართველ სტუდენტის დღეს.

ვიქტორი.

## ილიკო ქურხული მე-4 ა. ქვ. ათასეულში.

16 იანვარს მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული მოვიწვიეთ ჯარის კაცების გასართობ საღამოზე. საღამოს დაესწრო ათასეულის უფროსი პოლკ. ჩიქოვან, და მთელი ოფიცრები. ი. ქურხული მოვიდა და თან მოიყვანა ოთხი მესტვირე-რაჭველები. ილიკო ქურხულმა წაიკითხა მოხსენება მუსიკის მნიშვნელობის შესახებ. მშვენივრათ დაასურათა მუსიკის გამაკეთილშობილებელი მნიშვნელობა. ილაპარაკა სახალხო მუსიკის შესახებ რომელსაც მოხსენებლის აზრით შესაფერი ადგილი უნდა დაეთმოს ხელოვნებაში.

ხალხი არ მოდის თეატრში, მაგიერათ ხელოვანი უნდა მივიდეს ხალხში, უნდა ამხიარულოს და ატიროს ის იქ, სადაც შესაძლებელი იქნება. შემდეგ ილიკო ქურხულმა დაუკრა სამი არია. დაუკრეს მესტვირეებმა და თან დაამღერეს თავისებური ლექსები, რამაც დიდი მხიარულება მოჰგვარა ჯარის კაცებს.

მოხეტიალე მემუსიკეები მხურვალე ტაშის ცემით გაისტუმრეს ჯარის კაცებმა. მხურვალე მადლობას ვუძღვნი ჯარის კაცების სახელით ილიკო ქურხულს, რომლის ვიოლონმა მრავალს კეთილშობილი გრძნობები აღგვიძრა, ერთ წუთს მაინც დაგვავიწყდა ადამიანის სევდა ვაება.

ჯარის კაცი თ. ტრაპაიძე.

## წერ. რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

მე-3-ე ქვეითა ათასეულის მთელი შემადგენლობა უღრმეს მადლობას სწირავს ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს და აგრეთვე ბათომის განყოფილებას, იმ უხვი საჩუქრებისათვის, რომელიც მიიღო ჩვენმა ათასეულმა. ჩვენ ერთი წუთითაც არ გაგვივლია გულში, რომ ქართველი ხალხი, ქართველი დემოკრატია თუნდა ერთი წუთითაც დაივიწყებს თავის პირმშო შვილს—ჯარსა და გვარდიას. ჩვენ ღრმათა გვრწამს, რომ ის გზა, რომელიც ჩვენმა დემოკრატიამ აირჩია—მართალია ია და ვარდით არ არის მოფენილი, მაგრამ ის არის ჩვენი აუცილებელი სინამდვილით ნაკარნახევი და სწორეთ მით შესძლებთ მნიშვნელოვანი ალაგი დავიჭიროთ მსოფლიო დემოკრატიის საერთა-შორისო ოჯახში. ჩვენი მხრით კი ვსდებთ ქართველი ერის წინაშე ფიცსა, რომ ყოველ წუთს მზათა ვართ ვემსხვერპლოთ იმ საშვილის-შვილო მომავლის საქმეს, რომელსაც ერის უმრავლესობის ინტერესების საუკეთესო გამომხატველი ქართველი დემოკრატია ემსახურება.

მე-3-ე ქვეითა ათასეულის თავი,
პოლკოვნიკი **ჯაფარიძე.**

2

მოქ. რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთის მე № 14, ქრონიკაში სწერია თითქო მე დგმურებს ვავიწროვებდე და საქმეში ვიხმარებდე კომისარს.

ამით ვაცხადებ, რომ, არავითარი ასეთს ადგილი არა აქვს. საქმე იმაშია, რომ ქალაქის არხიტექტორმა შემიყენა ოქმი, რადგან სახლი დაზიანებულია და შეიძლება დაინგრეს. ქალაქის გამგეობის წევრმა ლ. ქოქოშვილმა ოქმს წააწერა: უბინობის გამო ძნელია ამდენ ოჯახის გამოსახლებაო და დარჩენ დგმურები პასუხის მგებლობითო. კომისარმა ეს განკარგულება შეასრულა, ხელი მოაწერინა დგმურებს, რომ სახელი დაიწერეს სახლის პატრონის პასუხის მგებლობას არიდებს თავს ამისმეტი არაფერი ყოფილა.

პატივისცემით ვაშალომიძის რწმუნებული ალ. წერეთელი

რედაქტორი **ქ. ძავთარაძე.**


მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

ყოველდღიური გაზ.

„ბათომის ცხოვრებაზე"

თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან. მუშა მოსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით.

ხელ მოწერა მიიღება მარინეს პროსპექტზე საბაშვილის სახლში.



ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს

რომ მან ახლად მოაწყო

ვალცის წისქვილი

(вальцовую мельницу).

რომელიც ჯერ ჯერობით დღიურათ ფქვავს 1000 ფუთ ძირბალს. ღებულია ზომები მის გასაფართოებლად და ახლო მომავალში დაფქვავს დღიურად 2000 ფუთამდე

დაწესებულებანი რომელიც მოისურვებენ ისარგებლონ აღნიშნული წისქვილი, ყოველივე ცნობისათვის უნდა მიმართონ ბათომის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას

ბათომის ქალაქის გამგეობა.



განცხადება

ბათომის ქალაქი გამგეობა ამით აცხადებს

რომ თანახმად ქალაქის საბჭოს 13 იანვარის არაჩვეულებრივ სხდომის დადგენილებისა მიმდინარე წლის 14 იანვრიდან ქალაქ ბათომში დაწესებულია

შემდეგი ნიხრი ხორცეულობაზე:

| | | |
|---|---|---|
| ძროხის ხორცი გირვანქა | 150 | მან. |
| „ „ ფუთი | 5000 | „ |
| ღორის ხორცი გირვანქა | 200 | „ |
| „ „ ფუთი | 8000 | „ |
| ცხვრის ხორცი გირვანქა | 200 | „ |
| „ „ ფუთი | 8000 | „ |
| კამეჩის ხორცი გირვანქა | 150 | „ |
| „ „ ფუთი | 4000 | „ |
| ძროხის ქონი გირვანქა | 400 | „ |
| ღორის ქონი და ცხვრის გირვანქა | 500 | „ |

ვინც ამ ნიხრს დაარღვევს, ის მიეცემა პასუხის გებაში.

3—1

ბათომის ქალაქის გამგეობა.


...სტამბა ... მიხეილოვის, ქ. №21 ბათუმი.